**გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)**

**პროექტი: რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD) - ფაზა 2**

# მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა ღიაა გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის და ქვემო ქართლის 23 მუნიციპალიტეტისთვის

ივლისი 2019

დანართი 1 - საპროექტო განაცხადის ფორმა

**ნაწილი პირველი. ზოგადი ინფორმაცია**

| განმცხადებლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია | | |
|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით | |
| მუნიციპალიტეტის დასახელება | სენაკი | |
| URL /ვებ-გვერდის მისამართი და ელექტრონული ფოსტის მისამართი | www.senaki.gov.ge<br>senakismeria@gmail.com | |
| მუნიციპალიტეტში პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია | სახელი და გვარი | მარინე კვარჭაია |
| | საფოსტო მისამართი | 4100, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სენაკი, ჭავჭავაძის ქ. 39 |
| | სამსახურებრივი ტელეფონის ნომერი | 0413 277927 |
| | მობილური ტელეფონის ნომერი | 599619444 |
| | ელ. ფოსტის მისამართი | maka.kvartchaia@gmail.com |
| პროექტის განხორციელების ზუსტი ადგილი/ები | სენაკის მუნიციპალიტეტი, ნოქალაქევის ციხე-გოჯის ტერიტორია, მდ. ტეხურის ხეობა | |
| ბენეფიციართა დასახელება და სავარაუდო რაოდენობა *(პირდაპირი და ირიბი)* | პირდაპირი ბენეფიციარი 8-10 კაცი, ირიბად მოსარგებლე 2000 კაცი. | |
| პროექტის ხანგრძლივობა *(მაქსიმუმ 12 თვე), დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღი* | 12 თვე. დაწყება - 01.12.2019 დასრულება - 01.12.2020 | |
| პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი) | 80 000 ლარი | |
| UNDP-გან მოთხოვნილი თანხა (ლარი) | 60 000 ლარი | |

| | |
|---|---|
| თანადაფინანსების მოცულობა (ლარი და %) | 20 000 ლარი |
| პარტნიორი ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | არ არის |

## ნაწილი მეორე. პროექტის აღწერა და განხორციელება

ამ ნაწილში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია პრობლემებზე, რომლის მოგვარებაც გსურთ, ასევე თქვენი პროექტის საქმიანობის, მოსალოდნელი შედეგების და მოთხოვნილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ.

### 1. პროექტის მიზანი და ამოცანები

*მიუთითეთ მიზანი, რომლის მიღწევაშიც წარმოდგენილ პროექტს შეაქვს წვლილი და კონკრეტული ამოცანები, რომელთა განხორცილებაც უზრუნველყოფილი იქნება პროექტის ფარგლებში*

**პროექტის მიზანია** ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდა ტურისტულ სექტორში.

**პროექტის ამოცანებია** სენაკის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორის ხელშეწყობა და ამ სექტორში ჩართული ადამიანების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში ტურიზმის სექტორში ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

მიზნის მისაღწევად დაგეგმილია **კონკრეტული აქტივობები,** რომელთა განხორციელება უზრუნველყოფილი იქნება პროექტის ფარგლებში.

შეიქმნება ვებ-გვერდი მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისთვის, ტურისტების მოსაზიდად, ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ინფორმაციის, სიახლის გასაცნობად ამ სექტორით დაინტერესებული ადამიანებისთვის. ასევე შეიქმნება ელექტრონული რუკა, სადაც ასახული იქნება ტურისტული მარშრუტები, განთავსდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურულ-ისტორიულ ძეგლებზე/ობიექტებზე, იქნება საინფორმაციო ბაზა ტურიზმისა და მომსახურების სფეროზე.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ტურისტული დესტინაციის შექმნა, რომელიც დაგეგმილია ჩვენი პროექტის ფარგლებში ხელს შეუწყობს ჩვენი პროექტის მიზნის განხორციელებას, ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდას ტურისტულ სექტორში, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, არსებული ბიზნესის გაუმჯობესებას, ახალი ბიზნესსაქმიანობების წამოწყებას ტურიზმის სფეროში. კერძოდ, მოეწყობა ატრაქცია თოკების პარკი, ზიპლაინი, ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმაზე ბინოკლის დადგმა, საკემპინგე/პარკირების ადგილები. პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყობა ღია ბაზრობისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა (დახლები) - ადგილობრივი ნაწარმის/პროდუქციის გამოფენა-გაყიდვისთვის.

ადგილობრივი ბიზნეს სექტორის, მეწარმეების, სტარტაპერებისთვის აქტიურად გაიმართება ტრენინგები/კონსულტაციები მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. ხელი შეეწყობა საჭირო პროფესიების გადამზადება-პოპულარიზაციას.

გიდების ასოციაცია, სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაცია, ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციის ქართული წარმომადგენლობა მზადყოფნას გამოხატავს თანამშრომლობაზე. მათ მიერ შემოთავაზებული პროექტები პირდაპირ კავშირშია ჩვენი პროექტის საჭიროებებთან და მათთან თანამშრომლობა კარგი ხელშეწყობა იქნება ჩვენი პროექტის სიცოცხლისუნარიანობისთვის.

| 2. საპროექტო წინადადების მოკლე აღწერა (მაქს. 300 სიტყვა) |
|---|
| *წარმოადგინეთ პროექტის <u>მოკლე და მკაფიო აღწერილობა</u>. დაასაბუთეთ, თუ რატომ არის თქვენი წინადადება პროგრამის კრიტერიუმებთან შესაბამისი, როგორ შეიტანს წვლილს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების განხორციელების პროცესში, და/ან მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში* |

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის მიზანი ტურიზმის სექტორის ხელშეწყობა და ამ სექტორში ჩართული ადამიანების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ასევე, ტურიზმის სექტორში ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის პრიორიტეტულია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით რეგიონებში მიზიდულობის ახალი ცენტრების შექმნა, რომლებიც შექმნის მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობებს, გააძლიერებს რეგიონებს ეკონომიკურად. ხელი შეეწყობა ეკოტურიზმის, როგორც საინტერესო ტურისტული პროდუქტის განვითარებას.

სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის დმო-ს მიერ ტურიზმის განვითარების შესახებ დოკუმენტში გამოყოფილია ტურიზმის განვითარების სამი ძირითადი მიმართულება. დოკუმენტში ერთ-ერთ მიმართულებაში აღნიშნულია ნოქალაქევის, როგორც ისტორიულ-კულტურული ძეგლის პოპულარიზაცია, ასევე მისი რეკრეაციულ ზონად, გამაჯანსაღებელ-სამკურნალო ტურიზმის განვითარება (საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია წარმოგიდგინოთ ეს დოკუმენტი). ასევე, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტში ხაზგასმულია მუნიციპალიტეტის, კერძოდ, ნოქალაქევის ტურისტული პოტენციალის შესახებ.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან, მარტვილის კანიონის, ნოქალაქევის მუზეუმის ადმინისტრაციასთან გვაქვს შეთანხმება და ერთობლივად დაგეგმილი პიარ-კამპანიები ნოქალაქევის პოპულარიზაციაზე.

წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ნოქალაქევის როგორც რეკრეაციული ზონის განვითარება. ამ მიმართულების განვითარებისთვის დაგეგმილია მოეწყოს ატრაქციები - თოკების პარკი, ზიპლაინი, ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმაზე ბინოკლის დადგმა, საკემპინგე/პარკირების ადგილები. პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყობა აუცილებელი ინფრასტრუქტურა ღია ბაზრობისთვის (დახლები) - ადგილობრივი ნაწარმის/პროდუქციის გაყიდვა-პოპულარიზაციის ხელშესაწყობად. შეიქმნება ვებ-გვერდი მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისთვის, ტურისტების მოსაზიდად, ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ინფორმაციების, სიახლეების გასაცნობად ამ სექტორით დაინტერესებული ადამიანებისთვის. შეიქმნება ელექტრონული რუკა, სადაც ასახული იქნება ტურისტული მარშრუტები, განთავსდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურულ-ისტორიულ ძეგლებზე/ობიექტებზე. იქნება საინფორმაციო ბაზა ტურიზმისა და მომსახურების სფეროზე. ადგილობრივი ბიზნეს სექტორის, მეწარმეების, სტარტაპერებისთვის აქტიურად გაიმართება ტრენინგები/კონსულტაციები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, რომლებმაც პროექტის ფარგლებში შემოგვთავაზეს თანამშრომლობა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გაიზრდება ნოქალაქევის პოპულარიზაცია,

ვიზიტორები, მათი დაყოვნება/დამაგრება. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა მოიზიდავს მეტ ტურისტს, შეიქმნება ეკონომიკური ზრდის „წერტილი", რაც მისცემს შესაძლებლობას ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ადგილობრივებს გაზარდონ და გააუმჯობესონ თავიანთი ბიზნესები, დასაქმდება ადგილობრივები, მეტი ადამიანი დაინტერესდება ტურიზმით, როგორც ბიზნესსაქმიანობით. ასევე, ამ პროექტის ფარგლებში მოწყობილი ატრაქციები გახდება მომავალში ამ ადგილის, როგორც რეკრეაციული ზონის განვითარების დასაწყისი სხვადასხვა სათავგადასავლო თუ დასასვენებელი ატრაქციების მოწყობის პერსპექტივით.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურიზმის ერთიან სისტემაში მოყვანას, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს მომავალში ტურიზმის სექტორის განვითარებას, ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ზრდას.

## 3. პრობლემის ფორმულირება (მაქს. 250 სიტყვა)

*აღწერეთ არსებული სიტუაცია და მთავარი პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება წარმოდგენილი პროექტი. ყურადღება გამახვილეთ პროექტის ბენეფიციარებზე, მათ თავისებურებებზე (განსაკუთრებით გენდერული და ეთნიკური თვალსაზრისით) და მათ სავარაუდო რაოდენობაზე.*

სენაკის მუნიციპალიტეტს ტურისტული მომსახურეობის კუთხით გააჩნია გარკვეული შესაძლებლობები, რაც იძლევა საშუალებას მოხდეს ტურისტების დაინტერესება და შესაბამისი მომსახურეობების განვითარებისთვის ხელშეწყობა.
სენაკის მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი განავითაროს სხვადასხვა სახის ტურიზმი, როგორიცაა ისტორიულ-კულტურული, სამკურნალო-რეკრეაციული, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი.
ისტორიულ-კულტურული ტურიზმის განსავითარებლად სენაკის მუნიციპალიტეტში მდებარეობს კულტურული მნიშვნელობის მრავალი ძეგლი, რომელთაც შესაბამისი კუთხით წარ დგენა სჭირდება. კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ობიექტებს შორისაა ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალი, რომელსაც რეგიონში წამყვან ტურისტულ ცენტრად ჩამოყალიბების საკმაოდ მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. მიმდინარეობს ნაქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, რომელიც 2020 წლისთვის დასრულდება.

- **ბუნებრივი რესურსი:** ნოქალაქევის თერმული წყლები - ნოქალაქევის თემის „დედა-მოკას" ტერიტორიაზეა ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტი, „ბეწვის ხიდი" და საბანაკე ადგილი მდ. ტეხურის ნაპირას. მოსაწყობია ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ადგილის ტურისტულად განვითარებას მისი პოპულარობიდან გამომდინარე.

მიუხედავად ტურისტული პოტენციალისა, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებობს და კერძოდ, ნოქალაქევში, არსებობს მთავარი პრობლემები, რომელიც ხელისშემშლელი ფაქტორებია ტურიზმის განვითარებისთვის. კერძოდ, მუნიციპალიტეტში ტურისტების რაოდენობის სინაკლებეა და ასევე, მათი დაყოვნება/დამაგრების პრობლემაცაა. ნოქალაქევში 17 000 ვიზიტორია წელიწადში, მაშინ როცა მარტვილის კანიონს 200 000 ვიზიტორი სტუმრობს. წინამდებარე პროექტის განხორციელებით შეგვიძლია ტურისტების რაოდენობა 2-ჯერ და მეტჯერ გავზარდოთ. აქედან გამომდინარე ამ ლოკაციების ერთიან ტურისტულ სისტემაში მოქცევა და ისეთი ატრაქციების დამატება, რომელსაც ვგეგმავთ პროექტის ფარგლებში,

გაზრდის ტურისტების ნაკადს ნოქალაქევში. ასევე, გაიზრდება ტურისტების ხარჯები და მათი განმეორებით ჩამოსვლის პერსპექტივა.

ერთ-ერთი მიზეზი პრობლემის გამოწვევისა არის ის, რომ მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის საინფორმაციო ბაზა არ არის სისტემატიზირებული. შესაბამისად, დეტალური ინფორმაცია ყველა არსებულ კულტურულ-ისტორიულ ძეგლებზე, ტურისტულ მარშრუტებზე არ არის ხელმისაწვდომი და საჭიროებს ერთ სისტემაში მოქცევას. ნოქალაქევის კომპლექსის ნაკლები პოპულარიზაცია მოგვარებადია სხვადასხვა სარეკლამო აქტივობებით, პიარ-კამპანიებით, ელ.გვერდებზე საინტერესო ინფორმაციების განთავსებით. ახალი ვებ-გვერდის შექმნა წარმოაჩენს სენაკის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს, შექმნის საინფორმაციო ბაზას, პოპულარიზაციას გაუწევს ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს/ობიექტებს, ხელს შეუწყობს ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ადამიანებს მათთვის საჭირო ინფორმაციით, ტრენინგებით/კონსულტაციებით.

მუნიციპალიტეტში არსებობს ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული პროფესიების გადამზადების მოთხოვნა. მაგ. გიდი, სერვისების გაუმჯობესება ჰორეკა სექტორში. UNDP პროექტის ფარგლებში შემოთავაზება გვაქვს თანამშრომლობაზე ორგანიზაციებთან (გიდების ასოციაცია, სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაცია, მეფუტკრეთა ასოციაცია, ქოუჩინგის ფედერაციასთან), რომლებიც უზრუნველყოფს ჩვენთვის საჭირო და მოთხოვნად სერვისს, ტრენინგებს, კონსულტაციებს. ნოქალაქევის მუზეუმის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა ასევე ხელს შეუწყობს გიდის პროფესიას დაინტერესებულ ადამიანებში.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების არასისტემური მიდგომაა, რომელიც საჭიროებს ერთიან სისტემაში მოქცევას. ტურიზმის, როგორც ბიზნესსაქმიანობის გადაქცევის არცოდნას მივყავართ იქამდე, რომ მუნიციპალიტეტში ტურისტულ სექტორში არსებული ობიექტები ნაკლებადაა დატვირთული ტურისტებით ვიდრე ამის პოტენციალი არსებობს და შესაბამისად, შემოსავლების დაბალი მაჩვენებელია.

წარმოდგენილი პროექტი მიმართულია ხელი შეუწყოს ამ პრობლემების მოგვარებას.

ტურიზმის სექტორში ამ მიმართულებებით დაგეგმილი აქტივობები დადებითად და ეფექტურად აისახება მუნიციპალიტეტში ტურიზმის სწორად განვითარებაში. გამომდინარე აქედან, ეს პროექტი იქნება აუცილებელი და ძირითადი ბაზა ჩვენს მუნიციპალიტეტში ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის.

**4. პროექტის სტრატეგია, განსახორციელებელი საქმიანობები და მოსალოდნელი შედეგები (მაქს. 500 სიტყვა)**

*წარმოადგინეთ დასახელებული პრობლემების მოსაგვარებლად დაგეგმილი სტრატეგია, პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობები და მოკლე და გრძელვადიანი შედეგები. ასევე, განმარტეთ, როგორ შეიტანს პროექტი წვლილს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრაში, დასახული მიზნების მიღწევაში და შესაბამისად ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესში.*

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები:

1. ვებ-გვერდის შექმნა
2. ტურისტული ატრაქციების მოწყობა
   თოკების პარკი
   ზიპლაინი
   ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმა - ბინოკლის დადგმა
3. საკემპინგე/პარკირების ადგილების მოწყობა
4. ღია ბაზრობისთვის მოსაწყობი ინფრასტრუქტურა (ადგილობრივი ნაწარმის/პროდუქციის გაყიდვა და პოპულარიზაცია): დახლები
5. ტრენინგები/კონსულტაციები

ვებ-გვერდის შექმნა - სავარაუდო ღირებულება

პროექტის ფარგლებში შეიქმნება ვებ-გვერდი, სადაც იქნება თავმოყრილი ყველა საჭირო ინფორმაცია ნებისმიერი ტურიზმის სექტორში დაინტერესებული ადამიანებისთვის, გაეწევა სათანადო პოპულარიზაცია ტურისტულ ობიექტებს/ადგილებს, ტურისტულ მარშრუტებს, გვერდი იქნება აქტიურად ჩართული გააშუქოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტები, ჩართოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები, მოხალისეები, ქალები სხვადასხვა აქტივობებში, უზრუნველყოს ისინი ტრენინგებით და დააინტერესოს მეტი ადამიანი ჩაერთოს ტურისტულ ბიზნესსაქმიანობებში, აითვისონ პროფესიები ამ სფეროში და ა.შ.

ხელი შეეწყობა ადგილობრივ დაინტერესებულ პირებს (მეწარმეები, ტურისტული ობიექტების მფლობელები, სტარტაპერები) აწარმოონ თავიანთი საქმიანობები ეფექტურად და წარმატებულად.

გვერდი უზრუნველყოფს მათ გააცნოს ნებისმიერი საპროექტო განაცხადები და დაეხმარონ მათ შევსებაში, მიაწოდოს ინფორმაცია როგორ მოიზიდონ ინვესტიციები მათი საქმიანობების გაუმჯობესებისათვის. შეიქმნება კარგი მოდელები საჯარო და კერძო სექტორის კარგი ურთიერთთანამშრომლობის.

კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების დოკუმენტირება ხელს შეუწყობს განსაზღვროს და დააკონკრეტოს ტურიზმის სფეროს განვითარების ადგილობრივი პრიორიტეტები. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან თანამშრომლობით და გის პორტალში ჩართულობით წარმოვაჩენთ და პოპულარიზაციას გავუწევთ მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას.

შეიქმნება ელექტრონული რუკა, ასევე, მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორში ჩართული ადამიანების საინფორმაციო ბაზა.

მოეწყობა პიარ-კამპანიები, აქტიურად წარიმართება ვებ-გვერდის პოპულარიზაცია. ვებ-გვერდი პოპულარიზაციისთვის ბმულით იქნება ხელმისაწვდომი სხვადასხვა გვერდებიდან.

**ტურისტული ატრაქციების მოწყობა**

თოკების პარკი

ზიპლაინი (მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდე)

ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმა - ბინოკლის დადგმა

ატრაქციებს, რომლის მოწყობა დაგეგმილი გვაქვს პროექტის ფარგლებში, გაზრდის ნოქალაქევის პოპულარიზაციას, ვიზიტორებს, მათ დაყოვნებას. ამ ტიპის ატრაქცია სამეგრელოს რეგიონში არ არის და შესაბამისად, ამ ადგილის დაინტერესებას უფრო გაზრდის. ასევე, ამ პროექტის ფარგლებში მოწყობილი ატრაქცია გახდება მომავალში ამ ადგილის, როგორც რეკრეაციული ზონის განვითარების დასაწყისი სხვადასხვა სათავგადასავლო თუ დასასვენებელი ატრაქციების მოწყობის პერსპექტივით.

ატრაქცია „თოკების პარკი“-სთვის მოეწყობა ინფრასტუქტურა, ორი სხვადასხვა სირთულის ხაზი, გადამზადდება ინსტრუქტორები, ეკიპირება 12 ადამიანზე იქნება შესაძლებელი. პარკი იმუშავებს ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე.

მოეწყობა ზიპლაინი (მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე). მსგავსი ატრაქცია მოწყობილია მტირალას ეროვნულ პარკში, საირმეში, ჟინვალი-ბარისახოს გზაზე სოფელ წიფრანში.

საჭირო რაოდენობის ინსტრუქტორი იქნება გადამზადებული, რომელთა სახელფასო უზრუნველყოფა განხორციელდება მერიის მიერ. ამ ატრაქციის მოვლა-პარტონობას უზრუნველყოფს მერიის ერთ-ერთი ააიპ-ი და შესაბამისად, ბილეთების გაყიდვისგან შემოსული თანხა მოხმარდება პერსონალის სახელფასო ანაზღაურებას და ინფრასტრუქტურის შენახვა-განვითარებას.

მერიის მიერ უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება.

**საკემპინგე/პარკირების ადგილების მოწყობა**

მერია უზრუნველყოფს საკემპინგე/პარკირების ადგილების მოწყობას. კერძოდ, მოეწყობა ადგილი კემპინგისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით (წყალი, დენი, ბიო ტუალეტი), ასევე პარკირების ადგილი. მსგავსი ტიპის ადგილები ნოქალაქევში მოიზიდავს ამ სერვისით დაინტერესებულ ტურისტებს, რაც გაზრდის მათ დაყოვნება/დამაგრებას.

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის პოპულარიზაცია, ახალი ატრაქციების მოწყობა, ამ ადგილის რეკრეაციულ ზონად განვითარება, ტურისტების მოზიდვის პარალელურად ხელს შეუწყობს ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ადამიანების, მეწარმეების, სტარტაპერების რაოდენობის ზრდას, მათი საქმიანობების განვითარებას. ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობის მიზნით გამოიყოფა სივრცე ღია ბაზრობისთვის (სხვადასხვა ადგილას), სადაც მეწარმეები შეძლებენ თავიანთი პროდუქტის რეალიზაციას/პოპულარიზაციას. ხელი შეეწყობა გასტროტურიზმის, აგროტურიზმის მიმართულებას, სადაც ადგილობრივები შეძლებენ შესთავაზონ ამ სფეროში შესაბამისი სერვისები ტურისტებს.

**ღია ბაზრობისთვის მოსაწყობი ინფრასტრუქტურა (ადგილობრივი ნაწარმის/პროდუქციის გაყიდვა და პოპულარიზაცია)**

მერია უზრუნველყოფს ბაზრობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას - დახლებს.

მერიის მიერ წლის განმავლობაში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებზე, დღესასწაულებზე (არა მარტო დღესასწაულებზე) მოეწყობა ღია ბაზრობები ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გაყიდვა-პოპულარიზაციისთვის. მსგავსი ტიპის ბაზრობები ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება როგორც მეწარმეებისთვის, ასევე ტურისტებისთვის.

**ტრენინგები/კონსულტაციები** - ტურიზმის სფეროში ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების, დაინტერესებული ადამიანების პროფესიული ცოდნის გაზრდა ტრენინგ-კურსებით, ბიზნეს კონსულტაციებით, მოთხოვნადი პროფესიებით მათი გადამზადება.

ადგილობრივი ბიზნეს სექტორის, მეწარმეების, ტურიზმის სექტორში ჩართული ადამიანების დახმარებისთვის, თანამშრომლობისთვის აქტიურად გაიმართება ტრენინგები/კონსულტაციები მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. ხელი შეეწყობა საჭირო პროფესიების გადამზადება-პოპულარიზაციას.

საგანმანათლებლო პროგრამები, ტრენინგები, კონსულტაციები უზრუნველყოფს ტურიზმის სექტორში დაინტერესებული პირებისთვის გიდების, სასტუმრო/კვების ობიექტების სფეროში მომსახურების სერვისის გაუმჯობესების, ონლაინ პლატფორმების და ასევე სხვა მოთხოვნად და საჭირო პროგრამების გაცნობას, რაც ხელს შეუწყობს მათ განავითარონ თავიანთი საქმიანობები, გააუმჯობესონ ხარისხი, შეიძინონ ახალი ცოდნა/პროფესია. საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულება ერთ-ერთი ხელშემწყობია ტურიზმის განვითარების მუნიციპალიტეტში.

გიდების ასოციაცია, სასტუმროებისა და რესტორნების, ქოუჩინგის ფედერაცია მზადყოფნას გამოხატავს თანამშრომლობაზე. მათ მიერ შემოთავაზებული პროექტები პირდაპირ კავშირშია ჩვენი პროექტის საჭიროებებთან და მათთან თანამშრომლობა კარგი ხელშეწყობა იქნება ჩვენი პროექტის სიცოცხლისუნარიანობისთვის.

მსგავსი კომპლექსურობა და ერთიან სისტემაში მოქცევა დაეხმარება ტურიზმის სექტორში დაინტერესებულ პირებს მეტი მოტივაციით ეფექტურად და წარმატებულად მართონ თავიანთი საქმიანობა, რაც ამ სექტორში არსებულ პრობლემებს გადაჭრის. პროექტის განხორციელება დაეხმარება მათ მოიზიდონ მეტი ტურისტი, შესთავაზონ მათ გაუმჯობესებული ტურისტული მომსახურება: გიდი, ტურები/ტურისტული მარშრუტები, კვებისა და განთავსების ობიექტები და სხვადასხვა ტურისტული სერვისები.

ტურისტების მოზიდვით გაფართოვდება და ამ კუთხით გაუმჯობესდება ბიზნესსაქმიანობები მუნიციპალიტეტში. გაჩნდება მეტი სამუშაო ადგილები, პოპულარიზაცია გაეწევა ისტორიულ და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს/ადგილებს, მეტი ადამიანი ჩაერთვება სხვადასხვა ტურისტულ აქტივობებში, ჩატარდება კულტურულ-საგანმანათლებლო მუნიციპალური ღონისძიებები, მოხდება ტურიზმის სექტორში არსებული პროფესიების პოპულარიზაცია, სერვისების გაუმჯობესება.

პროექტის ფარგლებში ნოქალაქევის პოპულარიზაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა მოიზიდავს მეტ ტურისტს, შეიქმნება ეკონომიკური ზრდის „წერტილი", რაც მისცემს შესაძლებლობას ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ადგილობრივებს გაზარდონ და გააუმჯობესონ თავიანთი ბიზნესები, დასაქმდეს ადგილობრივები, დაინტერესდეს მეტი ადამიანი ტურიზმით, როგორც ბიზნესაქმიანობით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს წარმოაჩინოს ჩვენი ისტორიის უძველესი ძეგლები და პროექტის წარმატებით განხორციელება ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანების ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, გამოკვეთავს და დააკონკრეტებს სამომავლო აქტივობებს მუნიციპალიტეტში ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის. პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო-კერძო სექტორების თანამშრომლობის, ტურიზმის, როგორც ბიზნესსაქმიანობის გადაქცევის შესაძლებლობის კარგი პლატფორმის ჩამოყალიბებას.

ეს ყოველივე გამოიწვევს ადგილობრივი ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდას.

## 5. მოსალოდნელი გავლენა და მდგრადობა (მაქს. 300 სიტყვა)

*აღწერეთ ის ზეგავლენა, რასაც პროექტი გრძელვადიან პერსპექტივაში მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე, სამიზნე ჯგუფებსა და ბენეფიციარებზე. აღწერეთ, პროექტისაგან რა სარგებელია მოსალოდნელი მოსახლეობის, ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკურ უმცირესობების ეკონომიკური გააქტიურების კუთხით.*

*გთხოვთ, განსაზღვრეთ, პროექტის დასრულების შემდეგ, როგორ მოხდება დადებითი შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფა, მათი შენარჩუნება და გაფართოება.*

პროექტს დადებითი ზეგავლენა ექნება გრძელვადიან პერსპექტივაში ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე პროექტის სამიზნე ჯგუფების, პირდაპირი და ირიბი ბენეფიციარების გააქტიურების შედეგად.

დაინტერესებული პირებისთვის იქნება საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფა, ხელი შეეწყობათ მოიზიდონ ინვესტიციები და გააფართოვონ თავიანთი ბიზნესსაქმიანობა, ასევე, სტარტაპერებს წამოიწყონ საქმიანობები ამ სექტორში. დაინტერესებულ ადამიანებს დაეხმარება ტურიზმის სფეროში ახალი პროფესიების ათვისებაში, მოტივაცია გაეზრდება მათ ჩაერთონ ამ სფეროში და შესაბამისი ტრენინგებით მოახდინონ ტურიზმის ბიზნესსაქმიანობად გადაქცევა. ინვენტარიზაციის შედეგად ტურიზმის სექტორში არსებული ინფორმაცია ნებისმიერი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ სასარგებლო იქნება მათთვის. ადგილობრივი ბიზნეს სექტორის, მეწარმეების, ტურიზმის სექტორში ჩართული ადამიანების დახმარებისთვის, თანამშრომლობისთვის აქტიურად გაიმართება ტრენინგები/კონსულტაციები მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. ხელი შეეწყობა საჭირო პროფესიების გადამზადება-პოპულარიზაციას.

ატრაქციებს, რომლის მოწყობა დაგეგმილი გვაქვს პროექტის ფარგლებში, გაზრდის ნოქალაქევის პოპულარიზაციას, ვიზიტორებს, მათ დაყოვნებას. ამ ტიპის ატრაქცია სამეგრელოს რეგიონში არ არის და შესაბამისად, ამ ადგილის დაინტერესება უფრო გაიზრდება. ასევე, ამ პროექტის ფარგლებში მოწყობილი ატრაქცია გახდება მომავალში ამ ადგილის, როგორც რეკრეაციული ზონის განვითარების დასაწყისი სხვადასხვა სათავგადასავლო თუ დასასვენებელი ატრაქციების

მოწყობის პერსპექტივით.

ატრაქცია „თოკების პარკი"-სთვის მოეწყობა ინფრასტუქტურა, ორი სხვადასხვა სირთულის ხაზი, გადამზადდება ინსტრუქტორები, 12 ადამიანზე იქნება ეკიპირება შესაძლებელი. პარკი იმუშავებს ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე.

მოეწყობა ზიპლაინი (მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე). მსგავსი ატრაქცია მოწყობილია მტირალას ეროვნულ პარკში, საირმეში, ჟინვალი-ბარისახოს გზაზე სოფელ წიფრანში.

მერიის მიერ უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება.

მერია უზრუნველყოფს საკემპინგე/პარკირების ადგილების მოწყობას. კერძოდ, მოეწყობა ადგილი როგორც კემპინგისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით (წყალი, დენი, ბიო ტუალეტი), ასევე პარკირებისთვის. მსგავსი ტიპის ადგილები ნოქალაქევში მოიზიდავს ამ სერვისით დაინტერესებულ ტურისტებს, რაც გაზრდის მათ დაყოვნება/დამაგრებას.

ნოქალაქევის პოპულარიზაცია, ახალი ატრაქციების მოწყობა, ამ ადგილის რეკრეაციულ ზონად განვითარება, ტურისტების მოზიდვა პარალელურად ხელს შეუწყობს ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ადამიანებს, მეწარმეებს, სტარტაპერებს... ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობის მიზნით გამოიყოფა სივრცე ღია ბაზრობისთვის (სხვადასხვა ადგილას), სადაც მეწარმეები შეძლებენ თავიანთი პროდუქტის რეალიზაცია/პოპულარიზაციას. ხელი შეეწყობა გასტროტურიზმის, აგროტურიზმის მიმართულებას, სადაც ადგილობრივები შეძლებენ შესთავაზონ ამ სფეროში შესაბამისი სერვისები ტურისტებს. მერია უზრუნველყოფს ბაზრობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის - დახლების მოწყობას.

მეტი ტურისტების მოზიდვით გაფართოვდება და გაუმჯობესდება ბიზნესსაქმიანობები მუნიციპალიტეტში, გაჩნდება მეტი სამუშაო ადგილები, პოპულარიზაცია გაეწევა ისტორიულ და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს/ადგილებს. მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება სხვადასხვა ტურისტულ აქტივობებში, მოხდება ტურიზმის სექტორში არსებული პროფესიების პოპულარიზაცია, სერვისების გაუმჯობესება.

საჭირო რაოდენობის ინსტრუქტორი იქნება გადამზადებული, რომელთა სახელფასო უზრუნველყოფა განხორციელდება მერიის მიერ. მერიაში არსებული ერთ-ერთი ააიპ-ი გაუწევს მომსახურებას განხორციელებულ პროექტს. შესაბამისად, ბილეთების გაყიდვისგან შემოსული თანხა მოხმარდება პერსონალის სახელფასო ანაზღაურებას და ინფრასტრუქტურის შენახვა-განვითარებას. მერია სხვადასხვა სერვისებით და მუნიციპალური ღონისძიებებით უზრუნველყოფს ამ პროექტის სიცოცხლისუნარიანობას.

## 6. კავშირი მუნიციპალიტეტის სხვა პროექტებთან (მაქს. 250 სიტყვა)

*ჩამოთვალეთ ნებისმიერი მსგავსი პროექტი და/ან საქმიანობა, რომელიც განხორციელდა ან ამჟამად ხორციელდება თქვენს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის.*

საქართველოს მთავრობის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და მხარდაჭერით გრძელდება ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალია სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, რომელიც 2016 წელს დაიწყო და 2020 წლისთვის დასრულდება. პროექტის

ღირებულება შეადგენს 14 მილიონ ლარს. რეაბილიტირდა გვირაბი, რკინის ხიდი, საფორტიფიკაციო ნაგებობები, სასახლეები. მოწესრიგდა უნიკალური წყალსაცავი. დასრულდა ორმოცმოწამეთა ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაცია, ტაძრის გადახურვის რეაბილიტაციის პროცესიც. მოეწყობა სავალი ბილიკები, მისასვლელი გზები და საინფორმაციო ბანერები. იგეგმება ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა, სადაც ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები გამოიფინება. ახალ მუზეუმში განთავსდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, რომელიც დასავლეთ საქართველოში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიმდინარე არქეოლოგიურ მისიებს მოემსახურება. რესტავრაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავება.

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები როგორიცაა გაზიფიცირება, გზების მოწყობა-მოასფალტება, სასმელი წყლის გაყვანა, ელექტროფიკაცია, ხიდების მოწყობა-რეაბილიტაცია განხორციელებულია და ახლაც გრძელდება. მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. ბოლო ორი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეაბილიტირდა და ასფალტო-ბეტონის საფარი მოეწყო 39.2 კილომეტრზე.

**7.დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (მაქს. 250 სიტყვა)**

*აღწერეთ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში დაინტერესებული მხარეების, ბენეფიციარების ჩართულობის და მონაწილეობის გ ზები*

პროექტის განხორციელებაში დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:
პირდაპირი და ირიბი ბენეფიციარები,
მეწარმეები,
ტურიზმის სექტორში ჩართული ადამიანები,
სასტუმროების, საოჯახო ტიპის სასტუმროების მფლობელები,
არსებული სავაჭრო ობიექტების მეპატრონეები,
ნოქალაქევის მუზეუმის ადმინისტრაცია.

სენაკის მუნიციპალიტეტში არსებობს კულტურულ-ისტორიული 44 ძეგლი/ობიექტი, საოჯახო სასტუმრო - 18, კვების ობიექტი - 16. პროექტის განხორციელება მისცემს შესაძლებლობას არსებული სასტუმროების/კვების ობიექტების მფლობელებს გააუმჯობესონ და განავითარონ თავიანთი საქმიანობები, ხოლო დაინტერესებულ ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას წამოიწყონ ტურიზმის სექტორში ახალი საქმიანობები. ექნებათ შესაძლებლობა ახალი პროფესიების ათვისების, ასევე, პროფესიული ცოდნის გაზრდის ტრენინგებით და ბიზნეს-კონსულტაციებით.

## 8. ბიუჯეტი

*წარმოადგინეთ საპროექტო წინადადების პუნქტობრივად გაწერილი ბიუჯეტი თანდართული ფორმის (დანართი 2) შესაბამისად, მათ შორის, პროექტის მიერ მოთხოვნილი ხარჯები და ასევე ის ხარჯები, რომელიც დაფარული იქნება სხვა რესურსებით და/ან კონტრიბუციებით.*

## 9. რისკების ანალიზი და მათი მართვის სტრატეგია

*აღწერეთ მოსალოდნელი რისკები, რამაც შესაძლოა პროექტის განხორციელებაზე მოახდინოს ზეგავლენა და განსაზღვრეთ, რა ზომები იქნება გამოყენებული მოსალოდნელი რისკების მართვის/შემცირების მიზნით.*

| | რისკები | ალბათობა (*მცირე, საშუალო, მაღალი*) | რისკის მართვის სტრატეგია |
|---|---|---|---|
| შიდა | პროექტის ფარგლებში შესყიდვების დოკუმენტის პროცედურული გაჭიანურება | მცირე | ტექნიკური დავალების ხარისხიანად შესრულება, დეტალურად მომზადება |
| შიდა | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისთვის საჭირო საშუალებების ნაკლებობა | მცირე | ხანძრის საქრობი სისტემის მოწყობა |
| გარე | საქართველოში ტურისტების რაოდენობის შემცირება | მცირე | შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურისტების მოზიდვა |
| გარე | სტიქიური მოვლენები: წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი | მცირე | უსაფრთხოების მართვის ტექნიკური სისტემის შექმნა |

## ნაწილი მესამე. სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ქვემოთ მოცემული კითხვარი დაგვეხმარება გავიგოთ თუ რამდენად შეუწყობს თქვენი პროექტი სოციალური და გარემოსდაცვითი კუთხით პოტენციური რისკების შემცირებას და პროექტის პოტენციური სარგებლის გაუმჯობესებას

| | | |
|---|---|---|
| 1. გათვალისწინებულია თუ არა პროექტით შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია ან ახალი შენობის აშენება? | ☐ დიახ | ✓ ☐ არა |
| *დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:* | | |
| 2. არსებობს თუ არა პროექტის განხორციელების ადგილას ისტორიული ან კულტურული მნიშვნელობის მქონე ძეგლი ან შენობა, რომელზეც შესაძლებელია გავლენა იქონიოს პროექტის განხორციელებამ? | ✓ ☐ დიახ | ☐ არა |
| *დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:*<br>პროექტის განხორციელების ადგილას არსებობს ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი. | | |
| 3. ითვალისწინებს თუ არა პროექტი თემების სოციალური განვითარებისკენ მიმართული აქტივობების განხორციელებას? | ✓ ☐ დიახ | ☐ არა |
| *დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:*<br>მერია უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების, სკოლის მოსწავლეების უფასო მომსახურეობას. | | |
| 4. რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ ჯგუფების ჩართულობას ითვალისწინებს პროექტი? | | |
| ✓ ☐ ბიზნესის მესაკუთრეები, მეწარმეები<br>✓ ☐ სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავე ორგანიზაცია/კომპანია<br>☐ ეთნიკური უმცირესობები<br>✓ ☐ ქალები<br>☐ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები<br>☐ მიგრანტები/დევნილები<br>☐ მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობა<br>☐ სხვა (ამ გრაფის მონიშვნის შემთხვევაში გთხოვთ განმარტოთ, კონკრეტულად რომელ ჯგუფს გულისხმობთ) | | |
| 5. გამოიწვევს თუ არა პროექტის განხორციელება მიწათსარგებლობაში ცვლილებებს? | ✓ ☐ დიახ | ☐ არა |
| *დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:*<br>მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაწილის მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემა. | | |

| 6. გეყოლებათ თუ არა კონტრაქტორები პროექტის განხორციელების ფარგლებში? | ✓ დიახ | ☐ არა |
|---|---|---|
| *დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ კონტრაქტთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია*<br>პროექტის განხორციელების ფარგლებში კონტრაქტორები იქნებიან ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მომსახურეობის საკითხებში მონაწილე კომპანიები. | | |
| 7. მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება ზეგავლენას ბუნებრივ ეკოსისტემასა და სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენებაზე პროექტის განხორციელების ადგილას? | ☐ დიახ | ✓ ☐ არა |
| *დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:* | | |
| 8. გამოიწვევს თუ არა პროექტის განხორციელება სამართლებრივ დავას (მაგ. კერძო მესაკუთრეებთან ან სხვა)? | ☐ დიახ | ✓ ☐ არა |
| *დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:* | | |

- ✓ მუნიციპალიტეტის მერი ადასტურებს, რომ გაეცნო პროგრამის პირობებს
- ✓ მუნიციპალიტეტის მერი ადასტურებს განაცხადის დაფინანსების შემთხვევაში მისი განხორციელების ვალდებულებას.

პროექტის წარდგენის თარიღი: 27.09.2019

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევანი კუპრეიშვილი

ორგანიზაციის ბეჭედი:

დანართი 2 - პროექტის ბიუჯეტის ფორმა

| საქმიანობა | ერთეულის ტიპი | ერთეულის რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | სავარაუდო მთლიანი ჯამი | UNDP-სგან მოთხოვნილი თანხა | მუნიციპალიტეტის წილი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ლარი | ლარი | ლარი | % |
| საქმიანობა 1 | | | | | | | |
| 1.1 ატრაქცია "თოკების პარკი"-ს მოწყობა-მონტაჟი | ცალი | 1 | 40 000 | 40 000 | 40 000 | - | - |
| 1.2 | | | | | | | |
| 1.3 | | | | | | | |
| .... | | | | | | | |
| 1.5 | | | | | | | |
| საქმიანობა 2 | | | | | | | |
| 2.1 ზიპლაინის მოწყობა-მონტაჟი (მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე) | ცალი | 1 | 15 000 | 15 000 | 10 000 | 5 000 | - |
| 2.2 საკემპინგე/პარკირების ადგილების მოწყობა | ცალი | 1 | 10 000 | 10 000 | - | 10 000 | |
| 2.3 | | | | | | | |
| .... | | | | | | | |
| 2.5 | | | | | | | |
| საქმიანობა 3 | | | | | | | |
| 3.1 ღია ბაზრობის მოსაწყობი ინფრასტრუქტურა, დახლები | ცალი | 10 | 500 | 5 000 | 5 000 | - | |
| 3.2 | | | | | | | |
| 3.3 | | | | | | | |
| ... | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4.1 ბინოკლის დადგმა (ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმაზე) | ცალი | 1 | 2 000 | 2 000 | - | 2 000 | |
| საქმიანობა 4 | | | | | | | |
| | | | | | | | |
| 4.1 ვებ-გვერდის შექმნა | ცალი | 1 | 3 000 | 3 000 | - | 3 000 | |
| 4.2 | | | | | | | |
| ... | | | | | | | |
| 4.5 | | | | | | | |
| საქმიანობა 5 | | | | | | | |
| | | | | | | | |
| 5.1 სწავლება-ტრენინგები | ცალი | 4 | 500 | 2 000 | 2 000 | | |
| 5.2 საქმიანობის რეკლამირება | ცალი | 8 | 500 | 3 000 | 3 000 | | |
| ... | | | | | | | |
| 5.5 | | | | | | | |
| ჯამი: | | | | 80 000 | 60 000 | 20 000 | 25% |

ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინეთ შემდეგი:

- ცხრილში შეგიძლიათ საჭიროებისამებრ დაამატოთ საქმიანობები და ქვესაქმიანობები
- ბიუჯეტი არ უნდა მოიცავდეს გაუთვალისწინებელ ხარჯებს
- გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტები გათავისუფლებულია დღგ-გან, შესაბამისად ბიუჯეტში მოცემული ხარჯები არ უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის გადასახადს

დანართი **3** - მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო **3** წლის განმავლობაში განხორციელებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროექტები (**მაქს. 5**)

| პროექტის განხორციელების ვადები | პროექტის სახელწოდება | მოკლე აღწერა (პროექტის მიზანი და მიღწეული შედეგები) | ღირებულება | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|---|
| 2016-2019 | საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | საგზაო ინფრასტრუქტურის გამართვა, რომლის შედეგად მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე კომფორტული გახდა გადაადგილება შიდა მუნიციპალურ გზებზე. მათ შორის, სენაკი-ნოქალაქევის მიმართულებით. | 15 მლნ. ლარი | რეგიონალური განვითარების ფონდი; მუნიციპალური განვითარების ფონდი; სენაკის მუნიციპალიტეტის მერია |
| 2018 | გაზიფიცირება | მუნიციპალიტეტის 6 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა გაზიფიცირების სამუშაოები. მათ შორის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში. მიზანი: ეკოსისტემის ხელშეწყობა, ტყის ფონდის დაცვა, მოსახლეობის ენერგოეფექტურობის გაზრდა. | 7 873 881 მლნ. ლარი | რეგიონალური განვითარების ფონდი; მუნიციპალური განვითარების ფონდი; სენაკის მუნიციპალიტეტის მერია |
| | | | | |
| | | | | |

დანართი 4 - პროექტის ლოგიკური ჩარჩო

არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს

| | |
|---|---|
| პროექტის სახელწოდება | სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით |
| მუნიციპალიტეტ(ები) | სენაკის მუნიციპალიტეტის მერია |
| ბიუჯეტი (ლარი) | პროექტის მთლიანი ღირებულება (₾): 80 000<br>UNDP-ს წილი (₾): 60 000<br>მუნიციპალიტეტის წილი (₾) *დაასახელეთ*: 20 000 ( ოცი ათასი ) |
| პრობლემების ჩამონათვალი, რომლის მოგვარებაზეც არის მიმართული | • ტურისტების რაოდენობის სიმცირე<br>• ტურისტების დაყოვნება/დამაგრება<br>• ტურისტების დანახარჯების სიმცირე<br>• პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ატრაქციების ან მსგავსი მიმზიდველი აქტივობების არარსებობა |
| პროექტის მიზანი | ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდა ტურისტულ სექტორში |
| კონკრეტული ამოცანები | • სენაკის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორის ხელშეწყობა და ამ სექტორში ჩართული ადამიანების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება<br>• ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში ტურიზმის სექტორში ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა |
| საქმიანობები | 1. ვებ-გვერდის შექმნა<br>2. ტურისტული ატრაქციების მოწყობა (თოკების პარკი, ზიპლაინი, ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმა - ბინოკლის დადგმა)<br>3. საკემპინგე/პარკირების ადგილების მოწყობა<br>4. ღია ბაზრობისთვის მოსაწყობი ინფრასტრუქტურა - დახლები<br>5. ტრენინგები/კონსულტაციები |
| მოსალოდნელი შედეგები | *თვისებრივი*<br>• ახალი ტურისტული სერვისის შექმნა ატრაქციების სახით |
| | |

| | |
|---|---|
| | *რაოდენობრივი*<br><br>• 10 ადგილობრივის დასაქმება<br>• ტურისტების რაოდენობის ზრდა 50%-ით (და მეტი)<br>• სასტუმროების/კვების ობიექტების რაოდენობის ზრდა |
| პროექტის მდგრადობა | ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის უნიკალური კომპლექსისადმი ინტერესი მზარდია და რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ციხე-გოჯისადმი ინტერესი უფრო მეტად გაიზრდება. წინამდებარე პროექტი დააინტერესებს ფართო მასებს (ტურისტებს, ადგილობრივებს) და პროექტი მდგრადი გახდება დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შედეგად. |

დანართი 5 - სამოქმედო გეგმა

| # | დაგეგმილი საქმიანობები | თვე | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1. | ვებ-გვერდის შექმნა | | | | | | | | | | | | |
| 2. | ტურისტული ატრაქციების მოწყობა | | | | | | | | | | | | |
| 3. | საკემპინგე ადგილის/პარკირების მოწყობა | | | | | | | | | | | | |
| 4. | ღია ბაზრობისთვის მოსაწყობი ინფრასტრუქტურა (დახლების მოწყობა) | | | | | | | | | | | | |
| 5. | ტრენინგები/კონსულტაციები | | | | | | | | | | | | |
| 6. | | | | | | | | | | | | | |
| 7. | | | | | | | | | | | | | |
| 8. | | | | | | | | | | | | | |
| 9. | | | | | | | | | | | | | |
| 10. | | | | | | | | | | | | | |
| ... | | | | | | | | | | | | | |